სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/416

20 დეკემბერი 2019

ქ. თბილისი

სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ა. აბშილავას მოხსენებითი ბარათის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის 2019 წლის 12 დეკემბრის №1 შემაჯამებელი ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის კენჭისყრის შედეგი და კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს დავით კუპატაძე (200-სთ დატვირთვა, საგანთა ჯგუფი №40);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი — **გ. სალუქვაძე**